

**აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის
გამგეობის სხდომის
ოქმი**

ქ. თბილისი

№7

18.09.2012 წ.

ესწრებოდნენ: აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის გამგეობის წევრები: ნიკოლოზ ბაკაშვილი, ოთარ ახოზაძე, ელგუჯა აფრიდონიძე, მეგი აჯიაშვილი, ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილი, დავით ლომსაძე, მიხეილ სტეფანიშვილი, თეიმურაზ ცერცვაძე, იური პაპასქუა.

სხდომას უძღვებოდა: იური პაპასქუა

მდივანი: დავით ლომსაძე

დღის წესრიგი:

1. აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის აჭარის ფილიალის შექმნის შესახებ;
2. სასწავლო პროცესის დაწყებისთვის მზადება (სასწავლო ცენტრთან ურთიერთობა, პროგრამების აკრედიტაციის მიზანშეწონილობა);
3. მიმდინარე საკითხები (დაფინანსება, პერსპექტივები).

მოისმინეს: რეგიონალური პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის ოთარ ახოზაძის ინფორმაცია აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის აჭარის ფილიალის შექმნის შესახებ.

აღინიშნა: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან ფედერაციაში გაწევრიანებულია 31 ინდივიდუალური წევრი. არის პერსპექტივა, რომ ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდოს და კორპორატიული წევრებიც შეგვემატოს. შესაბამისად, მიზანშეწონილია ჩვენი რეგიონალური პოლიტიკა უფრო აქტიურად წარვმართოთ და შევექმნათ აჭარაში ფილიალი, რაც ფედერაციის გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება.

აზრი გამოთქვას: ნიკოლოზ ბაკაშვილმა, ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილმა, დავით ლომსაძემ, იური პაპასქუამ, რომლებმაც მოიწონეს აჭარაში ფილიალის შექმნის შესახებ და წამოაყენეს შემხვედრი წინადადება ფილიალის ხელმძღვანელად ფედერაციის აქტიური წევრის სულიკო ფუტკარაძის დანიშვნის შესახებ.

მოისმინეს: სასწავლო ცენტრის დირექტორის იური პაპასქუას ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაწყებისათვის მზადების შესახებ.

აღინიშნა: აუცილებელია ფედერაცია ემზადოს განგრძობითი სწავლების ორგანიზებისათვის, რისთვისაც განათლებისა და სერთიფიცირების კომიტეტმა წარმოადგინოს კონცეფცია და უზრუნველყოფის ღონისძიებები. ამასთან, ცენტრი მზადაა და შეუძლია განახორციელოს სწავლება დაინტერესებული პირებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის თეორიასა და პრაქტიკაში; ბუღალტერიაში თემატური ჯგუფებისთვის; საგადასახადო კანონმდებლობაში; საბუღალტრო ინფორმაციულ ტექნოლოგიებში; მეწარმეობის სამართლებრივ საფუძვლებში, აგრეთვე სასერთიფიკაციო მოდულებში ლონდონის სერთიფიცირებულ ფინანსურ მენეჯერთა ინსტიტუტის მიერ დამტკიცებული პროგრამებისა და მეთოდოლოგიის შესაბამისად.

აზრი გამოთქვას: ელგუჯა აფრიდონიძემ, ნიკოლოზ ბაკაშვილმა, მეგი აჯიაშვილმა, თემური ცერცვაძემ. განგრძობითი სწავლების ორგანიზებამდე, პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული დაინტერესებულ პირთათვის სწავლების კურსების ორგანიზება, მათ შორის, რეგიონებშიც.

მოისმინეს: ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორის ინფორმაცია მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით.

აღინიშნა: ფინანსური სირთულეების შესახებ, რაც განაპირობა დამფუძნებელთა მიერ აღებული ვალდებულებების არასრულად შესრულებამ.

აზრი გამოთქვას: ნიკო ბაკაშვილმა, ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილმა, მიხეილ სტეფანიშვილმა, რომლებმაც მოუწოდეს კოლეგებს აღებული ვალდებულებების დროული შესრულებისკენ. ამასთან, სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საწევრო შენატანების მობილიზების გააქტიურება.

დაადგინეს:

1. შეიქმნას აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის ფილიალი აჭარაში;

2. აჭარაში ფედერაციის ფილიალის ხელმძღვანელის უფლებამოსილება მიენიჭოს სულიკო ფუტკარაძეს;

3. დაევალოს რეგიონალური პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარეს ოთარ ახოზაძეს და ფილიალის ხელმძღვანელს სულიკო ფუტკარაძეს უზრუნველყონ კოორდინირებული და გამართული პოლიტიკის განხორციელება;

4. დაევალოს განათლებისა და სერთიფიცირების კომიტეტის ხელმძღვანელს ელგუჯა აფრიდონიძეს, ა. წლის 1 ოქტომბრამდე წარმოადგინოს განგრძობითი სწავლების კონცეფცია;

5. განგრძობითი სწავლების ორგანიზებამდე, პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული დაინტერესებულ პირთათვის სწავლების კურსების ორგანიზება, მათ შორის, რეგიონებშიც.

6. სასწავლო ცენტრის დირექტორმა იური პაპასქუამ გააქტიუროს მუშაობა სასწავლო კურსების ორგანიზების კუთხით, მათ შორის, აჭარაშიც - ფილიალის ხელმძღვანელთან ერთად;

7. ეთხოვოს ფედერაციებს დამფუძნებლებს ფინანსური მხარდაჭერის შესრულება ადებული ვალდებულებების ფარგლებში.

8. დაეგზავნოთ შეხსენებები ფედერაციის წევრებს საწევრო შენატანების დროული გადახდის თაობაზე

სხდომის თავმჯდომარე

ი. პაპასქუა

მდივანი: დავით ლომსაძე